ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი
საფეხური: სამაგისტრო
სილაბუსი

1.	სასწავლო კურსის დასახელება	ლინგვისტური თეორიების განვითარება ანტიკურობიდან მინიმალიზმამდე Development of linguistic theories from Antiquity to Minimalism
2.	სასწავლო კურსის ხანგრძლივობა	1 სემესტრი
3.	კრედიტების რაოდენობა	6 კრედიტი
4.	საკონტაქტო საათებისრაოდენობა	**საკონტაქტო - 32 საათი:** ● ლექცია - 13 სთ. ● სემინარი - 13 სთ. ● შუალედური შეფასება - 4 სთ. ● ფინალური გამოცდა - 2სთ. **დამოუკიდებელი სამუშაო 118 საათი**
5.	ლექტორი, კურსის ავტორი	სვეტლანა ბერიკაშვილი, დოქტორი, ასოცირებული პროფესორი ტელ.: (+995) 599157214 ელ-ფოსტა: svetlana.berikashvili@iliauni.edu.ge სტუდენტებისთვის ინდივიდუალური საკონსულტაციო საათების ჩანიშვნა შესაძლებელია წინასწარ, ლექტორთან შეთანხმებით.
6.	სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობები	ინგლისური ენის ფლობა სულ მცირე B2 დონეზე საერთო ევროპული სარეფერენციო ჩარჩოს მიხედვით
7.	სწავლების მეთოდები	**სწავლების მეთოდები:** ლექცია, პრაქტიკული მუშაობა (სემინარი), ელექტრონული სწავლება, დემონსტრირების მეთოდი. **აქტივობები:** თანამშრომლობითი სწავლა, გონებრივი იერიში, მასალის დამოუკიდებლად მოძიება-დამუშავება, ჯგუფური დისკუსია, ტექსტების და სხვა მასალის კომენტირება.
8.	სასწავლო კურსის მიზანი	კურსის მიზანია გადასცეს სტუდენტს ღრმა და სისტემური ცოდნა გრამატიკული აზროვნების ისტორიის შესახებ უძველესი დროიდან უახლეს პერიოდამდე. ძირითადი ყურადღება გამახვილებულია ლინგვისტური თეორიების განვითარებაზე, კერძოდ თანამედროვე ლინგვისტური თეორიის, მათ შორის წარმომშობი გრამატიკის და მინიმალიზმის საფუძვლებზე. რიგ შემთხვევაში პარალელები გავლებულია ქართულ

		გრამატიკულ აზროვნებასთან. ამგვარად, კურსის მიზანში შედის: ა) ლინგვისტური აზროვნების რეტროსპექტიური წარმოჩენა; ბ) იმ მოაზროვნეთა მიღწევების აღნუსხვა, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს ლინგვისტური თეორიის განვითარებაში; გ) თანამედროვე სინტაქსური თეორიების განვითარების საფუძვლების ახსნა; დ) მინიმალიზმის პროგრამის მიმოხილვა და ძირითადი თეორიების აღნუსხვა წარმომშობი გრამატიკის ფარგლებში.
9.	სწავლის შედეგები და ძირითადი კომპეტენციები (დარგობრივი და ზოგადი)	**დარგობრივი კომპეტენციები** სტუდენტს შეუძლია: – ლინგვისტური თეორიების (მათ შორის თანამედროვე სინტაქსური თეორიების) განვითარების აღწერა, ანალიზი და კრიტიკული შეფასება; – მინიმალიზმთან და უნივერსალურ გრამატიკასთან დაკავშირებული საკითხების აღწერა და არგუმენტირებული კრიტიკის წარმოდგენა; – მინიმალისტური პროგრამის წაინამორბედთა თეორიების განსხვავებების გამიჯვნა, შედარება და შეფასება; – ქართული გრამატიკული აზროვნების თანამედროვე თეორიებიდან გამომდინარე გაანალიზება; – ლინგვისტური თეორიების ისტორიული რეტროსპექტული წარმოჩენა. **ზოგადი კომპეტენციები** სტუდენტი: – ამჟღავნებს ლინგვისტური თეორიების აღწერისა და ანალიზის უნარს; – ახდენს ზეპირ და წერილობით კომუნიკაციას აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვითა და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით; – მიზნობრივად სარგებლობს საბიბლიოთეკო და ელექტრონული რესურსებით.
10.	ძირითადი თემები	1. შესავალი. გრამატიკული აზროვნების ისტორიის სათავეებთან. ინდური გრამატიკული

		მოძღვრება, პანინის გრამატიკა და მისი თეორიული მნიშვნელობა. 2. ანტიკური ლინგვისტური აზროვნების ფილოსოფიური და გრამატიკული პერიოდები: პლატონი და არისტოტელე; ელინისტური ეპოქა და დიონისიოს თრაკიელის გრამატიკა *Τεχνή Γραμματική.* 3. რომაული ენათმეცნიერება, ვარონი, დონატუსი და პრისკიანე. შუა საუკუნეების გრამატიკული აზროვნება, სპეკულაციური გრამატიკოსები. 4. ენათმეცნიერება აღორძინების ეპოქაში, რაციონალიზმი ენის ფილოსოფიაში. პორ-როიალის გრამატიკა ნოამ ჩომსკის უნივერსალური გრამატიკის საფუძველი. 5. ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერება, ფრანც ბოპი, რაზმუს რასკი, იაკობ გრიმი; თეორიული ენათმეცნიერების კონცეფციის წარმოშობა, ფრიდრიხ შლეგელი, ვილჰელმ ჰუმბოლდტი. 6. ნეოგრამატიკოსთა სკოლა, კარლ ბრუგმანი და სკოლის სხვა წარმომადგენლები. ფერდინანდ დე სოსიურის ლინგვისტური თეორია. 7. სტრუქტურალიზმი: ედვარდ საპირი და ლეონარდ ბლუმფილდი; პრაღის სკოლა. 8. თანამედროვე სინტაქსური თეორიისა და უნივერსალური გრამატიკის საფუძვლები, უნივერსალური გრამატიკის სათავეებთან: ჯოზეფ გრინბერგი. 9. თანამედროვე სინტაქსური თეორიები, მართვისა და დაკავშირების თეორიიდან მიმიმალისტურ პროგრამამდე, ნოამ ჩომსკი და კენ ჰეილი. 10. პრინციპები და პარამეტრები, მინიმალისტური პროგრამის ძირითადი პოსტულატები, ენის დიზაინის სამი ფაქტორი. 11. სინტაქსური ვარიაციები, მახასიათებლები, ბრუნვა (კროს-ლინგვისტური ვარიაციები ბრუნვის მინიჭებისას) და თავის გადაადგილება. 12. მინიმალურობა, არგუმენტების სტრუქტურა და მინიმალისტური სემანტიკა. 13. თეორიების შემაჯამებელი მიმოხილვა და გრამატიკული არქიტექტურის წარმოდგენა. 14. კვლევაზე ორიენტირებული საკითხების დასმა.

<table>
<tr>
<td>11.</td>
<td>შეფასების წესი</td>
<td>
შეფასება 100-ქულიანი სისტემით მიმდინარეობს. ქულები გადანაწილდება და განისაზღვრება ამგვარად:

შეფასების სისტემა:
(A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი -მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;
(FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა- მაქსიმალური შეფასების 40 ქულა ან ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შეფასების კომპონენტები:
<table>
<tr><th>შეფასების ფორმა</th><th>შეფასების კომპონენტი</th><th>მინიმალური ზღვარი</th></tr>
<tr><td>აქტიურობა</td><td>20</td><td>5</td></tr>
<tr><td>კოლოქვიუმი 1</td><td>25</td><td>8</td></tr>
<tr><td>კოლოქვიუმი 2</td><td>25</td><td>8</td></tr>
<tr><td>დასკვნითი შეფასება</td><td>30</td><td>11</td></tr>
</table>

დასკვნითი შეფასება არის შემაჯამებელი და მასზე გასვლა სავალდებულოა ყველა სტუდენტისთვის. შეფასების ძირითადი მეთოდები: აქტიურობა, კოლოკვიუმი.

აქტიურობის შეფასება მოიცავს ორ კომპონენტს: საშინაო დავალებების შესრულების ხარისხსა და სემინარზე დავალებების შესრულებისა და მსჯელობის ხარისხს. სემესტრის ბოლოს მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით ხდება პროცენტული მაჩვენებლის გამოყვანა 20 ქულის ფარგლებში. თითოეული კომპონენტის ფარგლებში მოქმედებს შეფასების შემდეგი კრიტერიუმები.

საშინაო დავალებების შესრულების ხარისხი:
10 ქულა – საშინაო დავალება შესრულებული იყო შეცდომების გარეშე და ხარისხიანად;
</td>
</tr>
</table>

		9 ქულა – საშინაო დავალება შესრულებული იყო ძალიან კარგად მცირე ცდომილებებით; 8 ქულა – საშინაო დავალება შესრულებული იყო მეტწილად კარგად ცდომილებებით; 7 ქულა – საშინაო დავალება შესრულებული იყო ნაწილობრივ კარგად დიდი ცდომილებებით; 6 ქულა – საშინაო დავალება შესრულებული იყო დამაკმაყოფილებლად, ნაშრომზე მუშაობისას სტუდენტი განიცდიდა სირთულეს; 5 ქულა – საშინაო დავალება ნაწილობრივ შეუსრულებელი იყო, დაშვებული იყო შეცდომები; 4 ქულა – საშინაო დავალება მეტწილად შეუსრულებელი იყო, დაშვებული იყო ბევრი შეცდომა; 3 ქულა – საშინაო დავალება შესრულებული იყო ცუდად, დაშვებული იყო ძალიან ბევრი შეცდომა; 2 ქულა – საშინაო დავალება შესრულებული იყო ძალიან ცუდად, თითქმის შეუძლებელი იყო ნაშრომის გასწორება; 1 ქულა – საშინაო დავალება თითქმის მთლიანად შეუსრულებელი იყო; 0 ქულა – შეუსრულებელი იყო გაცდენის გამო, გამოვლინდა მოტყუებისა ან სხვისი ნაშრომის მითვისების მცდელობა. *სემინარზე დავალებების შესრულებისა და მსჯელობის ხარისხი:* 10 ქულა – მომზადებული იყო სემინარისთვის: დავალება შესრულებული ჰქონდა შეცდომების გარეშე და აქტიურად მონაწილეობდა წამოჭრილი საკითხების განხილვაში; 9 ქულა – მომზადებული იყო სემინარისთვის: დავალება შესრულებული ჰქონდა მცირე ცდომილებებით, მეტ-ნაკლებად აქტიურობდა წამოჭრილი საკითხების განხილვაში; 8 ქულა – უმეტესად იყო მომზადებული სემინარისთვის: დავალება შესრულებული ჰქონდა მეტწილად კარგად, გამოირჩეოდა ნაკლები აქტიურობით პრობლემური საკითხების განხილვის დროს; 7 ქულა – უმეტესად იყო მომზადებული სემინარისთვის: დავალება შესრულებული იყო ნაწილობრივ კარგად, განიცდიდა სირთულეს წამოჭრილი საკითხების განხილვის პროცესში, მეტ-ნაკლებად იღებდა მონაწილეობას დისკუსიებსა და სხვა აქტივობებში; 6 ქულა – განიცდიდა მნიშვნელოვან სირთულეს დავალების შესრულებისას, მეტ-ნაკლებად

		მონაწილეობას იღებდა პრობლემური საკითხების განხილვაში; 5 ქულა – უმეტესად მოუმზადებელი იყო სემინარისთვის: დავალება ნაწილობრივ შეუსრულებელი იყო, თუმცა იღებდა მეტ-ნაკლებ მონაწილეობას დისკუსიებსა და სხვა აქტივობებში; 4 ქულა – სემინარისთვის იყო მოუმზადებელი: დავალება მეტწილად შეუსრულებელი იყო, თუმცა ცდილობდა მონაწილეობის მიღებას დისკუსიებსა და სხვა აქტივობებში; 3 ქულა – სემინარისთვის უმეტესად მოუმზადებელი იყო: დავალება შესრულებელი იყო ცუდად, პასუხები სრულიად არაადეკვატური იყო, ძალზე იშვიათად მონაწილეობას იღებდა დისკუსიებსა და სხვა აქტივობებში; 2 ქულა – სემინარისთვის იყო მოუმზადებელი: მინიმალურად ცდილობდა დავალების შესრულებას, თუმცა თითქმის არ იღებდა მონაწილეობას დისკუსიებსა და სხვა აქტივობებში; 1 ქულა – სემინარისთვის იყო მოუმზადებელი, თითქმის არ იღებდა მონაწილეობას დისკუსიებსა და სხვა აქტივობებში; 0 ქულა – არ ესწრებოდა სემინარს, დავალება შესრულებული არ ჰქონდა, მონაწილეობას დისკუსიებსა და სხვა აქტივობებში არ იღებდა. **კოლოკვიუმი** მოიცავს 2 (ორ) თეორიულ საკითხს და 3 (სამ) პრაქტიკულ დავალებას. *თეორიული საკითხის* შეფასება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით ხდება: 5 ქულა – პასუხი ვრცელი, დამაჯერებელი, სიღრმისეული, დასაბუთებული, ორიგინალური, საინტერესო და სრულყოფილია; 4 ქულა – პასუხი ვრცელი, დამაჯერებელი და სიღრმისეულია, მაგრამ აკლია ზოგიერთი მნიშვნელოვანი ინფორმაცია; 3 ქულა – პასუხი საკმაოდ ვრცელი და დეტალურია, მაგრამ ზედაპირულია; 2 ქულა – პასუხი შემოიფარგლება მშრალი ფაქტების ძალზე ზოგადი გადმოცემით; შეიცავს უზუსტობებს; 1 ქულა – პასუხი ძალზე მოკლე, ზოგადი და არადამაჯერებელია; 0 ქულა – პასუხი სრულიად მცდარია; პასუხი საერთოდ არ არის. *პრაქტიკული დავალება* გულისხმობს სხვადასხვა ლინგვისტური ამოცანის შესრულებას განხილული თეორიებიდან გამომდინარე. თითოეული საკითხის შეფასება შემდეგი კრიტერიუმის მიხედვით ხდება:

		5 ქულა – ამოცანა სრულყოფილადაა ახსნილი, ანალიზი ლოგიკურად დამაჯერებელია; 4 ქულა – ამოცანა დეტალურადაა ახსნილი, თუმცა შეიცავს ერთ უზუსტობას, ანალიზი ლოგიკურად დამაჯერებელია; 3 ქულა – ამოცანა დეტალურადაა ახსნილი, თუმცა შეიცავს რიგ უზუსტობას, ანალიზი ლოგიკურად დამაჯერებელი; 2 ქულა – ამოცანა დეტალურად არაა ახსნილი და შეიცავს რიგ უზუსტობას, ანალიზი ლოგიკურად ნაკლებად დამაჯერებელია; 1 ქულა – ამოცანა დეტალურად არაა ახსნილი, ან შეიცავს უზუსტობებს ან არაა მოცემული, ანალიზი ლოგიკურად არათანმიმდევრულია; 0 ქულა – პასუხი სრულიად მცდარია და/ან საერთოდ არ არის. **დასკვნითი შეფასება არის წერითი (ონლაინ სწავლების დროს შესაძლებელია ფორმატი ჩანაცვლდეს ზეპირით).** შეფასება ხდება 3 (სამი) თეორიული საკითხისა და 3 (სამი) პრაქტიკული დავალების შესრულების საფუძველზე. საკითხების შერჩევა ხდება კურსის ფარგლებში გავლილი თემატიკის საფუძველზე. თითოეული *თეორიული საკითხი* 5 ქულით ფასდება და შემდეგ კომპონენტებს მოიცავს: 5 ქულა - გაცემული პასუხი აქტუალურია, მიზნები და მოსალოდნელი პრაქტიკული ღირებულება მკაფიოდ და ლოგიკურად ჩამოყალიბებულია; განხილული საკითხი ლოგიკურადაა განმარტებული და დასაბუთებული; საკითხის განხილვისას ზუსტად და ამომწურავად არის გამოყენებული მასალის მოპოვებისა და დამუშავების მეთოდები. დასკვნები არის მკაფიოდ ჩამოყალიბებული და იძლევა თეორიული განზოგადებისა და პრაქტიკული რეალიზების საშუალებას; 4 ქულა - გაცემული პასუხი აქტუალურია, მიზნები და მოსალოდნელი პრაქტიკული ღირებულება ლოგიკურად ჩამოყალიბებულია, თუმცა აკლია სიცხადე და მხოლოდ ნაწილობრივ შეესაბამება სამუშაოს მოთხოვნებს; ცალკეული მეთოდი მიზნობრივად არის შერჩეული; მოსალოდნელი შედეგები ლოგიკურადაა განმარტებული, მაგრამ აკლია სიცხადე/დასაბუთება; საკითხის განხილვისას გაკეთებული დასკვნები მისაღებია, თუმცა მოიცავს უმნიშვნელო შეცდომებს; 3 ქულა - გაცემული პასუხის მიზნები და მოსალოდნელი პრაქტიკული ღირებულება

		ფორმულირებულია, მაგრამ ბოლომდე ჩამოყალიბებული არ არის; მასალა გაანალიზებულია ნაწილობრივ; გამოყენებული მეთოდები ნაწილობრივ უზრუნველყოფს კონკრეტული შედეგების მიღებას; შედეგების განსჯა მოითხოვს გაუმჯობესებას; დასკვნები წარმოდგენილია შეცდომებით; 2 ქულა - საკითხის აქტუალობა, მიზნები და მოსალოდნელი პრაქტიკული ღირებულება ზედაპირულია და არაარგუმენტირებულად ჩამოყალიბებულია, არის შემთხვევითი; მეთოდები შერჩეულია არათანმიმდევრულად, ვლინდება შეუსაბამობა თემის მიზნებსა და ამოცანებს და შერჩეულ მეთოდოლოგიას შორის. თემის მოსალოდნელი შედეგიც ნაკლებად არგუმენტირებულია; 1 ქულა - საკითხის აქტუალობა, მიზნები და მოსალოდნელი პრაქტიკული ღირებულება მეტწილად ჩამოყალიბებული არ არის, და, ძირითადად, მოიცავს სხვა საკითხებს; მეთოდები შერჩეულია არაკვალიფიციურად; კონკრეტული მეთოდი არ აგროვებს ისეთ ინფორმაციას, რომელიც თემის მიზნებსა და ამოცანებთან არის შესაბამისობაში. თემის მოსალოდნელი შედეგები ზედაპირულად და არაარგუმენტირებულად არის ჩამოყალიბებული; დასკვნები არაადეკვატურია; 0 ქულა - საკითხის აქტუალობა, მიზნები და მოსალოდნელი პრაქტიკული ღირებულება არ არის ჩამოყალიბებული, არ შეესაბამება თემატიკას; არ შეესაბამება სამუშაოს მოთხოვნებს; მეთოდები არ შეესაბამება კვლევითი პროექტის მიზნებსა და ამოცანებს და შესაბამისად არ უზრუნველყოფს შედეგების მიღებას; შედეგები ჩამოყალიბებულია არაკვალიფიციურად, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე; დასკვნები საერთოდ არ არის წარმოდგენილი. შეიძლება იყოს უგულებელყოფილი აკადემიური კეთილსინდისიერების პრიციპები. *პრაქტიკული დავალება* გულისხმობს სხვადასხვა ლინგვისტური ამოცანის შესრულებას განხილული თეორიებიდან გამომდინარე. თითოეული საკითხის შეფასება შემდეგი კრიტერიუმის მიხედვით ხდება: 5 ქულა – ამოცანა სრულყოფილადაა ახსნილი, ანალიზი ლოგიკურად დამაჯერებელია; 4 ქულა – ამოცანა დეტალურადაა ახსნილი, თუმცა შეიცავს ერთ უზუსტობას, ანალიზი ლოგიკურად დამაჯერებელია;

		3 ქულა – ამოცანა დეტალურადაა ახსნილი, თუმცა შეიცავს რიგ უზუსტობას, ანალიზი ლოგიკურად დამაჯერებელი; 2 ქულა – ამოცანა დეტალურად არაა ახსნილი და შეიცავს რიგ უზუსტობას, ანალიზი ლოგიკურად ნაკლებად დამაჯერებელია; 1 ქულა – ამოცანა დეტალურად არაა ახსნილი, ან შეიცავს უზუსტობებს ან არაა მოცემული, ანალიზი ლოგიკურად არათანმიმდევრულია; 0 ქულა – პასუხი სრულიად მცდარია და/ან საერთოდ არ არის.
12.	ლიტერატურა და სხვა რესურსები	**სავალდებულო ლიტერატურა:** ● ჭრელაშვილი, კოტე. 2001. *ლინგვისტურ მოძღვრებათა ისტორია.* თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. ● გამყრელიძე, თამაზ, ზაზა კიკნაძე, ინგა შადური და ნანა შენგელაია. 2008. *თეორიული ენათმეცნიერების კურსი.* თბილისი: თსუ გამომცემლობა; ● Thomas, Margaret. 2011. *Fifty Key Thinkers on Language and Linguistics.* London & New York: Routledge. ● Boeckx, Cedric (ed.). 2011. *The Oxford Handbook of Linguistic Minimalism.* Oxford: Oxford University Press. ● Roberts, Ian (ed.). 2017. *The Oxford Handbook of Universal Grammar.* Oxford: Oxford University Press. **დამატებითი ლიტერატურა:** ● ბაბუნაშვილი, ელენე. 1970. *ანტონ პირეელი და ქართული გრამატიკის საკითხები.* თბილისი: მეცნიერება. ● ბერიკაშვილი, სვეტლანა. 2008. *ბრუნების სისტემის კლასიფიკაციის პრინციპები ძველსა და ახალ ბერძნულში.* თბილისი: ლოგოსი. ● დობორჯგინიძე, ნინო. 2012. *ლინგვისტურ-ჰერმენევტიკული მეტატექსტები. პრაქტიკული გრამატიკა და ჰერმენევტიკა X-XIII საუკუნეების ქართულ წყაროებში.* თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. ● დოლიძე, ნინო. 1998. *ძირითადი ენათმეცნიერული ტენდენციები ანტიკურ ფილოსოფიაში და პლატონის "კრატილოსი".* თბილისი: ლოგოსი. ● ენუქიძე, ლელა. 1987. *ძირითადი სინტაქსური თეორიები თანამედროვე*

		საზღვარგარეთულ ენათმეცნიერებაში. თბილისი: მეცნიერება. ● რამიშვილი, გურამ. 1996. *შესავალი ენის ანთროპოლოგიაში.* თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. ● ქაროსანიძე, ლია. 1992. *დიონისიოს თრაკიელის „გრამატიკის ხელოვნება“ და ძველი ქართული გრამატიკული აზროვნება.* თბილისი: ლოგოსი. ● Chomsky, Noam. 1986. *Knowledge of Language: Its Nature, Origin and Use.* New York: Praeger. ● Chomsky, Noam. 2009 [1966] *Cartesian Linguistics.* Cambridge: Cambridge University Press. ● Chomsky, Noam 1965 [1957]. *Syntactic structures.* The Hague: Mouton. ● Chomsky, Noam. 1988 [1981]. *Lectures on Government and Binding.* Cambridge, MA: MIT Press. ● Chomsky, Noam. 1995. *Minimalist Program.* Cambridge, MA: MIT Press. ● Chomsky, Noam. 2015. *The Minimalist Program.* Cambridge, MA: MIT Press. ● Chomsky, Noam. 2005. Three factors in Language Design. *Linguistic Inquiry,* Vol.36, N.1, 1-22. ● Kiparsky, Paul. 1982. *Some Theoretical Problems in Pānini's Grammar.* Poona: Bhandarkar Oriental Research Institute. ● Picallo, M. Carme (ed.). 2014. *Linguistic Variation in the Minimalist Framework.* Oxford: Oxford University Press. **დამხმარე რესურსები:** ● პროექტორი; ● ამობეჭდილი მასალა
13.	თემატიკა კვირების მიხედვით	იხ. დანართი

დანართი (სასწავლო კურსის შინაარსი)

№	*ლექცია-სემინარების თემატიკა*	*ლიტერატურა*
1.	კურსის მიზნების, შინაარსის (ლექცია-სემინარების ზუსტი თემატიკა თარიღების მითითებით), ფორმატის, შეფასების კომპონენტების, სავალდებულო ლიტერატურის პრეზენტაცია. **თეორიული მასალა:** შესავალი. გრამატიკული აზროვნების ისტორიის სათავეებთან. ინდური გრამატიკული მოძღვრება, პანინის გრამატიკა და მისი თეორიული მნიშვნელობა. **თანამედროვე თეორიებთან მიმართება:** თანამედროვე თეორიული სინტაქსის საკითხები პანინისთან: ბრუნვა, კონტროლი და ელიფსისი. **პრაქტიკული მასალა:** სტუდენტებს გადაეცემათ საკითხავი მასალა და პრაქტიკული დავალება	ჭრელაშვილი 2001, გვ. 48-54. Thomas 2011, გვ. 3-8. Kiparsky 1982, გვ. 1-51.
2.	**თეორიული მასალა:** ანტიკური ლინგვისტური აზროვნების ფილოსოფიური პერიოდი, პლატონი და არისტოტელე. **თანამედროვე თეორიებთან მიმართება:** „პლატონის პრობლემა“, როგორც თანამედროვე მინიმალისტური თეორიის ერთ-ერთი კონცეპტუალური საფუძველი, კერძოდ, თანდაყოლილი ლინგვისტური უნარის არსებობის განმაპირობებელი. **პრაქტიკული მასალა:** სტუდენტებს გადაეცემათ საკითხავი მასალა და პრაქტიკული დავალება	ჭრელაშვილი 2001, გვ. 17-31. ბერიკაშვილი 2008, გვ. 10-25. Thomas 2011, გვ. 8-18. Chomsky, Noam. 1986, გვ. 51-68.
3.	**თეორიული მასალა:** ანტიკური ლინგვისტური აზროვნების გრამატიკული პერიოდი; ელინისტური ეპოქა და დიონისიოს თრაკიელის გრამატიკა *Τεχνή Γραμματική.* **თანამედროვე თეორიებთან მიმართება:** დიონისიოს თრაკიელის და ალექსანდრიული ტრადიციის წვლილი ტრადიციული გრამატიკისა და მორფოლოგიის განვითარების საქმეში, მე-20 საუკუნის სტრუქტურალიზმის (საპირის და ბლუმფილდის ნაშრომების) საფუძველი.	ჭრელაშვილი 2001, გვ. 31-37. ბერიკაშვილი 2008, გვ. 26-37. Thomas 2011, გვ. 8-18. ქაროსანიძე 1998, გვ. 8-21.

№	ლექცია-სემინარების თემატიკა	ლიტერატურა
	პრაქტიკული მასალა: სტუდენტებს გადაეცემათ საკითხავი მასალა და პრაქტიკული დავალება	
4.	**თეორიული მასალა:** რომაული ენათმეცნიერება, მარკუს ტერენციუს ვარონი, დონატუსი და პრისციანე. **თანამედროვე თეორიებთან მიმართება:** რომაული სკოლის წვლილი ტრადიციული გრამატიკისა და მორფოლოგიის განვითარების საქმეში, ალექსანდრიელების მსგავსად მე-20 საუკუნის სტრუქტურალიზმის (საპირის და ბლუმფილდის ნაშრომების) საფუძველი. **პრაქტიკული მასალა:** სტუდენტებს გადაეცემათ საკითხავი მასალა და პრაქტიკული დავალება	ჭრელაშვილი 2001, გვ. 38-48. Thomas 2011, გვ. 18-23.
5.	**თეორიული მასალა:** შუასაუკუნეების ენათმეცნიერება. სპეკულაციური გრამატიკოსები - პირველი თეორეტიკოსები. შუა-საუკუნეების ქართული გრამატიკული აზროვნება. **თანამედროვე თეორიებთან მიმართება:** უნივერსალური გრამატიკის ჩამოყალიბების პირველი ცდა, პორ-როიალის გრამატიკის და შემდეგ მის საფუძველზე ჩომსკის უნივერსალური გრამატიკის წინამორბედი. უნივერსალური გრამატიკის ძირითადი დახასიათება. **პრაქტიკული მასალა:** სტუდენტებს გადაეცემათ საკითხავი მასალა და პრაქტიკული დავალება	ბერიკაშვილი 2008, გვ. 65-67. Thomas 2011, გვ. 44-49. დობორჯგინიძე 2011, გვ. 55-70, 73-80. ქაროსანიძე 1998, გვ. 22-58. Roberts (ed.) 2017, გვ. 7-15.
6.	**პირველი კოლოკვიუმი**	
7.	კოლოკვიუმში დაშვებული შეცდომების ანალიზი **თეორიული მასალა:** ენათმეცნიერება აღორძინების ეპოქაში, რაციონალიზმი ენის ფილოსოფიაში. რენე დეკარტის ფილოსოფია. პორ-როიალის გრამატიკა ნოამ ჩომსკის უნივერსალური გრამატიკის საფუძველი. **თანამედროვე თეორიებთან მიმართება:** პორ-როიალის გრამატიკის მნიშვნელობა თანამედროვე ლინგვისტიკისთვის. კარტეზიანული	ჭრელაშვილი 2001, გვ. 76-81; 90-107. Thomas 2011, გვ. 55-60. Chomsky 2009 [1966]; Roberts (ed.) 2017, გვ. 77-97.

№	ლექცია-სემინარების თემატიკა	ლიტერატურა
	ლინგვისტიკის კონცეპტი, კარტეზიანული რაციონალიზმის და წარმომშობი გრამატიკის მიმართება. **პრაქტიკული მასალა:** სტუდენტებს გადაეცემათ საკითხავი მასალა და პრაქტიკული დავალება	
8.	**თეორიული მასალა:** ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერება, ფრანც ბოპი, რაზმუს რასკი, იაკობ გრიმი; შლეგელების ტიპოლოგიური დაკვირვებების ზეგავლენა კომპარატიულ ლინგვისტიკასა და ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტზე. ჰუმბოლდტი და თეორიული ენათმეცნიერების კონცეფციის წარმოშობა. **თანამედროვე თეორიებთან მიმართება:** ჰუმბოლდტის თეორიების დაკავშირება ლინგვისტურ რელატივიზმთან, რომლის ვერსია მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში ცნობილია საპირ-ვორფის ჰიპოტეზის სახელით. ჰუმბოლდტის მოღვაწეობის, როგორც წარმომშობი გრამატიკის წინამორბედის ჩომსკისეული შეფასება. **პრაქტიკული მასალა:** სტუდენტებს გადაეცემათ საკითხავი მასალა და პრაქტიკული დავალება	ჭრელაშვილი 2001, გვ. 108-111; 90-107; 112-128. გამყრელიძე და სხვ. 2008, გვ. 449-488; 522-526. Thomas 2011, გვ. 92-97; 97-103; 103-108. Thomas 2011, 166; 96-97. Chomsky 2009 [1966].
9.	**თეორიული მასალა:** ნეოგრამატიკოსთა სკოლა, კარლ ბრუგმანი; სხვა ნეოგრამატიკოსები: ჰერმან ოსტჰოფი, ფრიდრიხ თუმბი, ბერტოლდ დელბრიუკი და მათი ადგილი კომპარატივისტიკის ისტორიაში. ფერდინანდ დე სოსიურის ლინგვისტური თეორია. **თანამედროვე თეორიებთან მიმართება:** ჩომსკის ლინგვისტური კომპეტენციის და ენის გამოყენების (competence/performance) შედარება სოსიურის ენა და მეტყველებასთან (langue/parole). **პრაქტიკული მასალა:** სტუდენტებს გადაეცემათ საკითხავი მასალა და პრაქტიკული დავალება	ჭრელაშვილი 2001, გვ. 122-140. Thomas 2011, გვ. 140-145; 145-151; 192-209. რამიშვილი 1996, გვ. 8-14. ჭრელაშვილი 2001, გვ. 192-209.
10.	**თეორიული მასალა:** პირველი ქართული გრამატიკები და ანტონ პირველის მოღვაწეობა.	ჭრელაშვილი 2001, გვ. 231-236; 243-253. ბაბუნაშვილი 1970.

№	ლექცია-სემინარების თემატიკა	ლიტერატურა
	თანამედროვე თეორიებთან მიმართება: ანტონის გრამატიკის მიმართება თანამედროვე ლინგვისტურ თეორიებთან. **პრაქტიკული მასალა:** სტუდენტებს გადაეცემათ საკითხავი მასალა და პრაქტიკული დავალება	
11.	**მეორე კოლოკვიუმი**	
12.	კოლოკვიუმში დაშვებული შეცდომების ანალიზი **თეორიული მასალა:** სტრუქტურალიზმი, პრაღის სკოლა, ამერიკული სკოლა - ედვარდ საპირი და ლეონარდ ბლუმფილდი. **თანამედროვე თეორიებთან მიმართება:** საპირის ზეგავლენა ჯოზეფ გრინბერგის და ნოამ ჩომსკის ლინგვისტურ შეხედულებებზე. ბლუმფილდი და ლინგვისტური აზრის თანმიმდევრობა და წყვეტა წარმომშობ გრამატიკამდე. **პრაქტიკული მასალა:** სტუდენტებს გადაეცემათ საკითხავი მასალა და პრაქტიკული დავალება	Thomas 2011, გვ. 162-167, 167-173. ენუქიძე 1987, გვ. 5-10; 14-20.
13.	**თეორიული მასალა:** თანამედროვე სინტაქსური თეორიისა და უნივერსალური გრამატიკის საფუძვლები, უნივერსალური გრამატიკის სათავეებთან: ჯოზეფ გრინბერგი. ფუნქციონალური გრამატიკის ფუძემდებელი მაიკლ ჰალიდეი და სოციოლინგვისტიკის ფუძემდებელი ვილიამ ლაბოვი. **თანამედროვე თეორიებთან მიმართება:** ჯოზეფ გრინბერგის წვლილი უნივერსალიების კვლევაში და ტიპოლოგიისა და გენერატიული კვლევების დაკავშირებაში. **პრაქტიკული მასალა:** სტუდენტებს გადაეცემათ საკითხავი მასალა და პრაქტიკული დავალება	გამყრელიძე და სხვ. 2008, გვ. 246-256. ენუქიძე 1987, გვ. 20-34. Thomas 2011, გვ. 222-227, 238-243, 243-249.
14.	**თეორიული მასალა:** თანამედროვე სინტაქსური თეორიები, მართვისა და დაკავშირების თეორიიდან მიმიმალისტურ პროგრამამდე, ნოამ ჩომსკი. **გენერაციული თეორია:** გენერატივისტიკის სამი ფაზა: (ა) გრამატიკული თეორია მიმართული სტრუქტურალიზმის წინააღმდეგ ‘კლასიკური	Boeckx, Cedric (ed.). 2011, გვ. 1-27. Thomas 2011, გვ. 249-255.

№	ლექცია-სემინარების თემატიკა	ლიტერატურა
	მოდელი'; (ბ) პრინციპები და პარამეტრები; (გ) მინიმალისტური პროგრამა. მინიმალისტური პროგრამის ძირითადი პოსტულატები და ენის დიზაინის სამი ფაქტორი. **სხვა თეორიებთან მიმართება:** (ა) პორ-როიალის გრამატიკის და ვილჰელმ ჰუმბოლტის რაციონალიზმის ზეგავლენა წარმომშობ გრამატიკაზე; (ბ) ჯოზეფ გრინბერგის და ლეონარდ ბლუმფილდის სტილის მასალაზე დაფუძნებული კვლევის უარყოფა; (გ) ჰალიდეის და ლაბოვის კრიტიკა სოციალურ-კომუნიკაციური გარემოდან მოწყვეტილი ენის კვლევის. **პრაქტიკული მასალა:** სტუდენტებს გადაეცემათ საკითხავი მასალა და პრაქტიკული დავალება	Chomsky 2015, გვ. 1-11. Chomsky 2005, გვ. 1-22. Picallo 2014, გვ. 61-82 დამატებითი საკითხავი: Chomsky 1965 [1957], 1988 [1981], 1995, 2015.
15.	**თეორიული მასალა:** კენ ჰეილი, საფრთხის ქვეშ მყოფი ენების კვლევა გენერატივისტიკის ჭრილში. კონფიგურაციულობა და ნულოვანი არგუმენტები. სინტაქსური ვარიაციები, მახასიათებლები, ბრუნვა (კროს-ლინგვისტური ვარიაციები ბრუნვის მინიჭებისას) და თავის გადაადგილება **პრაქტიკული მასალა:** სტუდენტებს გადაეცემათ საკითხავი მასალა და პრაქტიკული დავალება	Thomas 2011, გვ. 255-259. Boeckx 2011, გვ. 27-52; 52-73; 195-220. Picallo 2014, გვ. 36-61.
16.	**თეორიული მასალა:** მინიმალურობა, არგუმენტების სტრუქტურა და მინიმალისტური სემანტიკა. დამუშავებული საკითხების გამეორება, **დასკვნითი გამოცდისთვის მომზადება.**	Boeckx 2011, გვ. 220-239; 427-429; 449-472.